# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (9.706)

7-14 ნოემბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ანგარიში - ხალხს!

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი** ნიკოლოზ ჯანიაშვილი ჟურნალისტების, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების წარმომადგენლების წინაშე ანგარიშით წარსდგა. გამგებელმა საზოგადოებას ის პროექტები გააცნო, რომლებიც მუნიციპალიტეტში 2015 წელს განხორციელდა. შეხვედრა 30 ოქტომბერს ქალაქ დედოფლისწყაროში, ხელოვნების სკოლის დარბაზში გაიმართა.

ანგარიშის ჩაბარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვით დაიწყო:

„2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი 7 მილიონ ასი ათასი ლარია. აქ შედის როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შემოსავლები, ასევე, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სხვადასხვა სახის ტრანსფერები. აქ შედის აგრეთვე რეგიონალური ფონდის თანხები, რომლითაც ბევრ კარგ საქმეს ვაკეთებთ და „სოფლის დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული თანხებიც.

დღეისათვის არსებული მდგომარეობით, სამი კვარტლის მანძილზე მუნიციპალიტეტის შემოსულობები შეადგენს 4 მილიონ 200 ათას ლარს. შეიძლება, ერთი შეხედვით, შეუსაბამობაც კი აღმოაჩინოთ შემოსულობებისა და ხარჯვითი ნაწილის შედარებისას, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონი აგრარული რაიონია, და ამიტომ გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსება წლის ბოლოსთვის ხდება- სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის შემოტანა ძირითადად ნოემბრიდან იწყება. ოქტომბრის ბოლოა და დაგეგმილი შემოსავლები ჯერ არ არის შემოსული ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო.

ახლა კი განვიხილოთ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უკვე განხორციელდა 2015 წელს, ასევე მოგახსენებთ იმ სამუშაოების შესახებაც, რომლებიც მიმდინარეობის პროცესშია. ამ ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა, დაახლოებით, 12 მილიონ ლარს შეადგენს. რეგიონალური განვითარების ფონდიდან მოდის 2 მილიონ 200 ათასამდე ლარი, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხა შეადგენს 443 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოიყო 750 000 ლარი.

ჩვენი ხელისუფლების მთავარი წინასაარჩევნო დაპირება დედოფლისწყაროში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფოს აშენება იყო. წინა ხელისუფლებამ ისე გააკეთა, რომ დაგვტოვა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის გარეშე. ეს კი სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ჩვენს მოსახლეობას, რომლებსაც რაიონის გარეთ უხდებოდათ სამედიცინო მომსახურებისთვის წასვლა. მაგრამ სულ ცოტა ხანში ეს პრობლემა წარსულს ჩაბარდება. როგორც ყველამ იცით, ეს დაპირება მალე რეალობად იქცევა და 2015 წლის ბოლოს დედოფლისწყაროს მრავალფუნქციური, თანამედროვე სტანდარტების 25 საწოლიანი საავადმყოფო ექნება.

აგრარული სექტორის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გაწყლოვანებას. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განადგურდა სარწყავი სისტემა, ერთეულების მიერ კი ჯართის სახით გაყიდულმა წყალგაყვანილობის მილებმა მოსახლეობა სარწყავი წყლის გარეშე დატოვა. სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულებმა ზარალის მეტი ვერაფერი ნახეს. სამელიორაციო სისტემის მოშლის გამო დაეცა მიწის ტენიანობა, ამ ფაქტორმა კი მოსავლიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა-300 ჰექტარზე მევენახეს მხოლოდ 80 ტონა ყურძენი მოჰყავდა.მიუხედავად იმისა, რომ დედოფლისწყაროელი გლეხები ძალ-ღონესა და ფინანსებს არ იშურებდნენ მოსავლის გასაუმჯობესებლად, მათი მონდომება ამაო იყო. ამის გამო დაიწყო სოფლის მიგრაცია. მოგეხსენებათ, ფიროსმანი საზღვრისპირა სოფელია, აქ მცხოვრები მოსახლეობა კი ცოცხალი საზღვრის ფუნქციას ასრულებს. სოფლის დაცლის შემთხვევაში ის მთავარ ფუნქციას კარგავდა. მე მიხარია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ამ რთულ საკითხთან შეჭიდება და წარმატებითაც. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები და წელს სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 5 მილიონ 200 ათასი ლარი. ამ ფაქტმა უკვე შეაჩერა მიგრაცია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი გაზიფიცირებულია, მაგრამ დარჩენილია სოფლები, რომლებიც ბუნებრივი აირის გარეშე არიან დარჩენილები.

დედოფლისწყაროს სოფლების: ზემო ქედის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის, სამთაწყაროს, ფიროსმანის, საბათლოს, ჭოეთისა და თავწყაროს გაზიფიცირებისთვის პროექტის მოსამზადებლად 200 000 ლარი გამოიყო. ეს პირველი, მაგრამ გიგანტური ნაბიჯია იმისთვის, რომ ამ სოფლების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა მოხდეს.

გზების საკითხი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მგრძნობიარე თემაა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის წინ გვქონდა კატასტროფული მდგომარეობა, როცა სოფლებში: ხორნაბუჯში, სამრეკლოსა და ქედების ზონაში მთლიანად გზების მდგომარეობა ყოველგვარი კრიტიკის ზღვარს სცილდებოდა. ასევე საშინელ მდგომარეობაში იყო ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური შემოსასვლელი. საუბარია იმ ცენტრალურ გზაზე, რომელიც მთავარი დამაკავშირებელი მაგისტრალია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის დანარჩენ საქართველოსთან. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თვითონ ქალაქშიც და სოფლებშიც გზა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. პირველი, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ მოსვლის დღეებიდანვე დაიწყო, ეს იყო გზების მშენებლობა-2013 წელს დაიწყო თბილისი-დედოფლისწყაროს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია და დღეს ჩვენს მოსახლეობას კარგი მაგისტრალით უწევს კომფორტული მგზავრობა არა მარტო თბილისში, არამედ მუნიციპალიტეტის სოფლებშიც. ქედების ზონაში ვისაც კი უმგზავრია, ყველა დამეთანხმება, რომ იქ არსებულ გზას გზა ძნელად თუ ეთქმოდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამ ქედელებს ის პროგლემა მოუგვარა, რომლის გადაჭრის იმედიც დაკარგული ჰქონდათ. ქედების გარდა ქალაქ დედოფლისწყაროში, ხევსურების უბანში ოთხ ისეთ ქუჩაზე დავაგეთ გზები, სადაც ასფალტი კომუნისტების დროსაც არ ყოფილა. იდენტური სიტუაციაა ბევრ სხვა ქუჩაზეც... კვლავ მიმდინარეობს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქის ცენტრშიც.

ძალიან მალე დედოფლისწყაროში აღარ დარჩება ქუჩა, რომელიც იქნება კეთილმოუწყოგელი...

დედოფლისწყაროს წყალმომარაგების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და ლამის აქილევსის ქუსლადაა ქცეული. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამ საკითხის მოსაგვარებლად ბევრი რამ გაკეთდა და შედეგად მივიღეთ ის, რომ ბევრ სოფელში, სადაც წყალი ფაქტიურად არ იყო, დღეს წყალი გვაქვს. სოფელ არხილოსკალოში საკმაოდ კარგი მდგომარეობაა, მოსახლეობას წყალი აქ 24-საათიანი გრაფიკით მიეწოდება. სოფელ ზემო ქედში წყლის მიწოდება გაუმჯობესდა და წელსაც სერიოზული თანხა დაიხარჯა გამოტოვებული უბნების დაქსელვის მიზნით. 2016 წლის დასაწყისში, სოფელში აღარ იარსებებს ოჯახი, რომელსაც არ ექნება სასმელი წყალი.

სოფელი არბოშიკი წყალუხვობით გამოირჩეოდა, მაგრამ წყალმომარაგება აქაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ე.წ. „მიშმირის წყალზე“ 700 000ლარამდე იხარჯება, რათა სამი ჭაბურღილის მოწყობის შედეგად წყლის დებეტმა მოიმატოს და პირველ ეტაპზე 150 ოჯახი სასმელი წყლით იყოს უზრუნველყოფილი.

სოფელ გამარჯვებაში ზაფხულობით, როდესაც წყლის დებეტი იკლებს, მოსახლეობის ნაწილი წყლის გარეშე რჩება. სოფლის „ხუთმილა წყალზე“ მოეწყობა წყალშემკრები აუზი, დაყენდება

(გაგრძელება გვ.3)

## საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში მოსახლეობას

გვ.2

## ორ თვეში ცოფის სამი შემთხვევა

გვ.5

## მეგობრობა გზად და ხიდად

გვ.6

19 ნოემბერს, 12 საათზე,მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველ სართულზე, სხდომათა დარბაზში, გაიმართება შეხვედრა პროგრამის: „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის საქართველოში (ENPARD საქართველო)“. პროგრამა ითვალისწინებს ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებას საქართველოს სასოფლო მუნიციპალიტეტებში.

პროგრამის სპეციფიკური ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას ფერმერული ჯგუფების, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლებისა და სახელმწიფო სექტორის შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, დაესწრონ შეხვედრას და მონაწილეობა მიიღონ აღნიშნულ პროგრამაში.

C M Y K

# ირაკლი ღარიბაშვილი "რუსთავი 2"-თან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ასეთ სახელმწიფოში კი კერძო სასამართლო დავას და მით უფრო, მასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური სარჩული, - ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ტელეკომპანია "რუსთავი-2-ის" გარშემო განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

"მინდა, გამოვეხმაურო ტელეკომპანია "რუსთავი-2-ის" გარშემო განვითარებულ მოვლენებს და მკაფიოდ და ნათლად დავაფიქსირო ხელისუფლების პოზიცია. ტელეკომპანია "რუსთავი-2-თან" დაკავშირებით მიმდინარე პროცესი არის კერძო კომპანიის მფლობელობასთან დაკავშირებული სასამართლო დავა. ბუნებრივია, რომ ორივე მხარე იყენებს ყველა არსებულ იურიდიულ ბერკეტს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ჩვენი, ხელისუფლების ვალია უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სრულად იქნება დაცული სასამართლოს და მედიის დამოუკიდებლობა, რადგან სწორედ ამ ორ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტიტუტზე დგას ჩვენი სახელმწიფოს განვითარება. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, ასეთ სახელმწიფოში კი კერძო სასამართლო დავას და, მით უფრო, მასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებას არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური სარჩული. ასეთი საქმეები 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩვენ ჩავაბარეთ ისტორიას. ჩვენ ვაშენებთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც მედიის თავისუფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა და სადაც ამ თემით სპეკულირების უფლება არავის აქვს", - ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

მისივე თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლოს პრეროგატივაა.

"პროცესი უნდა წარიმართოს მაქსიმალურად ღიად, რათა საზოგადოებამ მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ხელისუფლებამ, მედიამ, სასამართლომ და საზოგადოებამ - ყველამ უნდა უზრუნველვყოთ როგორც მედიის, ისე სასამართლოს დამოუკიდებლობა, რათა არავის მხრიდან არ მოხდეს ამ ინსტიტუტების გამოყენება ვინმეს პარტიული თუ პოლიტიკური მიზნებისთვის", - ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

# პატრიარქმა ილჰამ ალიევთან აზერბაიჯანში ქართველი ეპისკოპოსის მსახურებისა და დავით გარეჯის საკითხები დააყენა

„აზერბაიჯანში, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ჰყავს საკუთარი ეპისკოპოსი, სასურველია საქართველოსაც ჰყავდეს თავისი ეპისკოპოსი. დიდი მნიშვნელობა აქვს დავით გარეჯის სამინოსტრო კომპლექსს, რომლის სამი მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იმყოფება. ეს საკითხი შეიძლება მერე გადაიჭრას",- ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, ილჰამ ალიევთან შეხვედრაზე განაცხადა.

როგორც პატრიარქმა შეხვედრაზე აღნიშნა, მუსულმანები საქართველოში იმაზე ნაკლებად არ ცხოვრობენ, ვიდრე აზერბაიჯანში. ასევე მისივე თქმით, საქართველოში 300-ზე მეტი მეჩეთია, ამიტომ ქრისტიანები აზერბაიჯანში მათ მდგომარეობას უნდა გაუთანაბრდნენ.

ილია მეორემ აზერბაიჯანის პრეზიდენტი საპატრიარქოში თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მშვიდობა იყოს კავკასიაში, თუმცა ეს ყოველთვის არ ხდება. ჩვენ შეშფოთებული ვართ, რომ დარღვეულია აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება აღდგენილი",-აღნიშნა ილია მეორემ.

პატრიაქმა მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტს იმის გამო, რომ კომპანია „სოკარის" მეშვეობით საქართველოში მოქმედ ყველა რელიგიის წარმომადგენელს უფასო ბუნებრივი აირი აქვს.

ისტორიულ ჰერეთში მოქმედ ერთადერთ ტაძარში მღვდელმსახურება 21 ივნისის შემდეგ შეწყვეტილია. კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ დემეტრე თეთრუაშვილს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა აზერბაიჯანში შესვლის უფლება არ მისცეს.

დემეტრე თეთრუაშვილი კახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი 4 წლის განმავლობაში იყო. მანამდე ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი იყო, რომელიც ადგილობრივების ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან 2011 წელს გამოაძევეს.

# საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში მოსახლეობას

2015 წლის საანგარიშო პერიოდში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი თავმჯდომარეობით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მივიღეთ რამდენიმე პროექტსა თუ პროგრამაში მონაწილეობა. ამ პერიოდში შევუერთდით „საქართველოს სოლიდარობის ფონდის" ინიციატივას ყოველთვიურად მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ გარკვეული თანხის გაღებით. შევუერთდით პროექტს „დავასუფთაოთ საქართველო" და „არ დაყარო ნაგავის" კამპანიას და მოვაწყეთ დასუფთავების აქციები მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე; როგორც მე, ისე საკრებულოს სხვა საჯარო მოხელეები დავესწარით სხვადასხვა სასწავლო სემინარებსა თუ ტრენინგებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩემი ხელმძღვანელობით მიიღო სხვადასხვა დროს დამეგობრებული და მიმდინარე წელს სამუშაო ვიზიტით ჩამოსული პოლონეთისა და საფრანგეთის დელეგაციები; სამუშაო ვიზიტით, საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, გახლდით დედოფლისწყაროსთან დამეგობრებულ ქვეყნებში. ორგანიზაციული და იურიდიული მომსახურება გაუწია საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისას, პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ მალბორკში (პომერანიის სავოევოდო), აგრეთვე შვეიცარიაში.

აღსანიშნავია დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ნაზარლების, სამაროვანსა და ხორანთის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და არტეფაქტების დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, როგორც მის კანონიერ მემკვიდრესთან დაბრუნება. ამიტომ მივმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისა და არტეფაქტების დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დასაბრუნებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარება ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფილ იქნა საკრებულოს აპარატის მიერ, რომლის სტრუქტურული ერთეულებია 1. საორგანიზაციო და საქმისწარმოების და 2. იურიდიული განყოფილებები. საკრებულოს აპარატი ორგანიზებას უწევდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების, აგრეთვე საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან. აპარატის მიერ იქნა საკრებულოსა თუ კომისიების, ფრაქციების სხდომების ორგანიზება და სხდომის ოქმების წარმოება. ორგანიზაციული და იურიდიული მომსახურება გაუწია საკრებულოს წევრებს უფლებამოსილების განხორციელებისას, ორგანიზებას უწევდა საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვას, სისტემატიზაციას და დადგენილი წესით გამოქვეყნებას. აღვნიშნავ, რომ საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებმა წარმატებით გადალახეს საკონკურსო თუ საატესტაციო ზღვრები.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
ზვიად ჯაჯანიშვილი

# დაჯილდოვება და საზოგადოების დაფასება გაწეული სამსახურისთვის

საქართველოს პრემიერ- მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2015 წელი ქალთა წლად გამოაცხადა. სწორედ ამ ეგიდით გაზეთ „საქართველოს ლირიკამ" და საზოგადოება „ამაგდარმა" მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოავლინა საქართველოს მასშტაბით ცნობილი სახეები ნომინაციაში „გამორჩეული ქალბატონი" და „ახალგაზრდა პროფესიონალი". ხუთ ნოემბერს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სწორედ ამ ნომინანტების დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიება ნომინანტების დაჯილდოვებას მიეძღვნა, რომლის ორგანიზატორები თავად საზოგადოება „ამაგდარი" და გაზეთი „საქართველოს ლირიკა" გახლდათ.

დაჯილდოვებას უძღვებოდნენ საზოგადოება „ამაგდარის" ხელმძღვანელი ბატონი ვახტანგ ქიზიყურაშვილი, საოპერო ხელოვნების დიდოსტატი, შემოქმედი და მომღერალი ელდარ გეწაძე და არაერთი ლამაზი ღონისძიების ავტორი და წამომწყები, დედოფლისწყაროს საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს კულტურული ცხოვრების კორიფეები, დამსახურებული და ღვაწლმოსილი ადამიანები, როგორებიც არიან მედეა ამირანაშვილი, ომარ მხეიძე, პოეტი და წმინდა გიორგის სიგელის მფლობელი მზია ხეთაგური და სხვები. ნომინაციაში „გამორჩეული ქალბატონები" და „ახალგაზრდა პროფესიონალები" დაჯილდოვდნენ: კინომსახიობი ლეილა აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ მობრძანდა დაჯილდოვებაზე, თუმცა, გამოგზავნა ძალიან თბილი გზავნილი. ასევე ნომინანტები გახლდნენ მუსიკოსი ნაილი აბულაძე, თერაპევტი ნორა ბაბუნაშვილი, ინჟინერ- ტექნოლოგი ცაცა ბოსტაშვილი, ინჟინერ-ტექნოლოგი ნუნუ მჭედლიძე, პოეტი და პროზაიკოსი ეთერ ფაცურია, პოეტი და პუბლიცისტი ნანი საბანიძე, ფარმაცევტი ნათელა ღრუბელაშვილი, პოეტი, ჩვენი რაიონის სასიქადულო ადამიანი და დიდი პატრიოტი მარინე ცხვედიაშვილი, ვოკალისტი ერნა წიფურია, პედაგოგი, ჩვენი რაიონის ერთ-ერთი გამორჩეული ფილოლოგი რუსუდან გონაშვილი, ჩვენი კოლეგა და ჟურნალისტი ლალი მეხრიშვილი, პედაგოგი ია თეთვაძე, ვოკალისტი მარინე ფარულავა და პედიატრი შორენა ღვინიაშვილი.

დაჯილდოვების ცერემონიალი გაალამაზეს ახალგაზრდა ცნობილმა ვოკალისტებმა, შესრულდა ათამდე საოპერო არია, რომელიც ნომინანტებს მიეძღვნა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა და ლექსი წაიკითხა პოეტმა მზია ხეთაგურმა, ერნა წიფურიას ხელმძღვანელობით იმღერეს ანსამბლ "გვირილას " ბავშვებმა.სიტყვით გამოვიდა მედეა ამირანაშვილი, ელდარ გეწაძე, დარბაზში არაერთხელ გაიჟღერა ქალბატონი ნანა ჭიჭინაძის მისამართით ნათქვამმა საქებარმა სიტყვებმა. აშკარაა, რომ ამ კულტურული ცხოვრებისთვის დაბადებულ და ოპერის ჰაერით ნასაზრდოვებ ქალბატონს ქალაქის საზოგადოებაში თავისი ადგილი დაუმკვიდრებია.

-ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელიც თბილისიდან ორასი კილომეტრის მოშორებით მდებარე რეგიონიდან ჩამოდის, აწყობს და აკეთებს არაჩვეულებრივ საღამოებს და ჩვენი ამბები სოფელში მიაქვს, ხოლო სოფლისა – ჩვენამდე. ის იმ დიდი ხიდის შენებას ემსახურება, რომელიც რეგიონებსა და ქალაქის კულტურულ ცხოვრებას შორის უნდა არსებობდეს. იშვიათად თუ მოიძებნება ისეთი დიდი სულის ადამიანი, როგორიც ქალბატონი ნანა ჭიჭინაძეა, რომელსაც იმდენად არ შეუძლია ერთი დღე კულტურული ცხოვრების გარეშე იცხოვროს, რომ ქალაქში ნათესავებთან, ზოგჯერ თხოვნით, ზოგჯერ მათივე შეთავაზებით რჩება, ზოგჯერ მშიერიც, ზოგჯერ მწყურვალიც დარჩენილა, მაგრამ მისი სული სავსე ყოფილა, სავსე კულტურული ცხოვრებით. ამას დანახვა და დაფასება უნდა და მე მჯერა, რომ მის ღვაწლს აუცილებლად დააფასებენ,"- აღნიშნა საღამოზე ელდარ გეწაძემ.

-„აქ დაჯილდოვებული ნომინანტებისგან განსხვავებით, მე არ მოვითვლი მოღვაწეობის ხანგრძლივ წლებს, მხოლოდ მეთორმეტე წელია, რაც ვმოღვაწეობ ჩემს დარგში, მაგრამ ვხედავ, რომ ჩემი შრომა დაინახეს და დამაფასეს, რისთვისაც მადლობელი ვარ ორგანიზატორების. მინდა ვთქვა, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობის წლები, რაც მიწერია, მიწერია კრიტიკაც, მაგრამ უმეტესად სხვისი შრომის წარმოჩენას ვემსახურები, სხვის პროფესიონალიზმს ვაფასებ და აი, ჩემი შრომაც შეაფასა საზოგადოებამ და ეს ძალიან მახარებს. ძალიან ვლელავდი და ამ დაჯილდოვების დღესთან დაკავშირებით დიდ ემოციებში ვიყავი, მაგრამ ვხედავ, რომ ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე განხორციელდა და მადლობელი ვარ ამისთვის, როგორც საზოგადოების, ისე „საქართველოს ლირიკის" და „ამაგდარის"."- გვითხრა დაჯილდოვების დღეს ლალი მეხრიშვილმა.

გულწრფელად ვულოცავთ ჩვენს კოლეგას ლალი მეხრიშვილს , ჩვენი რაიონის ნომინანტებს რუსუდან გონაშვილს და შორენა ღვინიაშვილს ამ დიდ წარმატებას და მომავალშიც უამრავ წარმატებულ დღეებს ვუსურვებთ.

ელზა ხარაშვილი

# ანგარიში – ხალხს!

(პირველი გვერდიდან)

ტუმბო და წყალი მიეწოდება ცენტრალურ რეზერვუარს. ამ სამუშაოების შედეგად გამარჯვებულებს მომავალი წლის ზაფხულში აღარ ემუქრებათ წყლის გარეშე დარჩენა.

ქვემო ქედში იცვლება 5 კილომეტრიანი სადაწნევო მილი, რითიც მოხდება ცენტრალური რეზერვუარისთვის წყლის მიწოდება. აქაც ტუმბოს ვაყენებთ, რადგან გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ზოგან უჭირს წყალს თვითდინებით მისვლა. ეს პროექტიც მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს წყალმომარაგების ხარისხს. მარტო ამ სამ პროექტში, რომელიც ახლა მიმდინარეობს და იანვრისთვის დასრულდება, 400 000 ლარზე მეტი იხარჯება, 700 000 ლარზე მეტი იხარჯება არბოშიკში, 1 100 000 ლარი არა არის პატარა თანხა, ვფიქრობ, ეს ზუსტად ის პროექტებია, რომლებიც ხალხის დაკვეთით ხორციელდება“.

დედოფლისწყაროში აგრარული სექტორი წამყვანი დარგია. ამიტომ ეს სფერო ყოველთვის არის მოსახლეობისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ინტერესის საგანი:

„რთველი -2015 წარმატებული იყო დედოფლისწყაროსთვის. ყველამ დააბინავა მოსავალი , ერთი მტევანი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩენილა. 2015 წელს მოიკრიფა 4000 ტონა ყურძენი. მოსახლეობის შემოსავალმა 3 მილიონი ლარი შეადგინა. ამ მიდგომამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და მევენახე მიწისკენ შემოაბრუნა, გლეხმა გაჩეხვის ნაცვლად ვენახის გაშენება დაიწყო. წელს 110 ჰა ვენახი შენდება, შარშან კი-100 ჰა გაშენდა. აქედან 57ჰექტარი ვენახი გაშენდა სოფელ არხილოსკალოში.

სოფლის მეურნეობის სფეროშიც გარკვეული მიღწევებია- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებამ, თანამედროვე, ახალი მანქანა-იარაღების შემოტანამ და მათი საშუალებით მიწის დამუშავებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსავლიანობა. 2015 წელს დედოფლისწყაროში ხორგლისა და ქერის რეკორდული მოსავალი მოვიდა. შირაქის ველზე მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელმა1 ჰექტარზე 4-დან 6 ტონამდე შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო ხვნის გარათეგით ისარგებლა 1336 გენეფიციარმა და მოიხნა 1670 ჰა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ძლიერი ფერმერი ძლიერი სოფლის, ძლიერი სოფელი კი -ძლიერი სახელმწიფოს გარანტია.

ასევე აგრარული სექტორის განვითარების მიზნით მიმდინარეობს სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია. ფაქტიურად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ სისტემის რეაბილიტაცია არ მომხდარა“.

„ახალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ადამიანებმა კარგად იგრძნონ თავი საკუთარ რაიონში, სოფელში თუ სახლში და ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტი მათთვის იყოს მომგებიანი. გზების გარდა გაკეთდება საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელებიც“-თავისი ერთ-ერთი მთავარი მესიჯი ამ სიტყვებით გაუგზავნა მან საზოგადოებას და სოციალურ, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სფეროში მიმდინარე რეფორმები მიმოიხილა:

„მოზარდი თაობის აღზრდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ბავშვები კი ჩვენი ცხოვრების გამლამაზებლები არიან, მათ გარეშე ხომ ყველაფერს ფასი ეკარგება... ამიტომ ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი მათთვის შესაფერისი პირობების შექმნაა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გვაქვს 17 საბავშვო ბაღი და დღეისათვის არცერთი მათგანი არ არის სარემონტო, ყველა მათგანი რეაბილიტირებულია და მოზარდი თაობის სწორად აღზრდისათვის ყველანაირი პირობაა შექმნილი- მიიღონ გამოცდილება მასწავლებელთან და თანატოლებთან ურთიერთობის, ასევე სკოლამდელი განათლება და სკოლაში მივიდნენ აბსოლუტურად მომზადებულები. ამისთვის კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 1 მილიონი ლარი გამოიყოფა.

ბაღებზე ასეთმა ზრუნვამ გამოიწვია ის, რომ თუ 2012 წლის სექტემბრისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაღებში დადიოდა 330 ბავშვი, 2015 წლის სექტემბრისთვის მათმა კონტიგენტმა შეადგინა 980. ეს კი იმისი დამსახურებაა, რომ საქართველოში პირველად დედოფლისწყაროს ბაღებში გაუქმდა გადასახადი, შემდეგ კი- მთელ საქართველოში. და ეს ინიციატივა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე თვეებში მაშინდელ გამგებელს და კახეთის დღევანდელ გუბერნატორს ირაკლი შოლაშვილს ეკუთვნის. გადასახადის გაუქმება მოხდა არა მშობლების ხარჯზე, რომ კვლავ მათ მიეტანათ ბაღში თავიანთი შვილებისთვის საკვები თუ სათბობი საშუალება, არამედ მათზე ზრუნვა მთლიანად ბიუჯეტმა ითავა. ამ ტენდენციამ კი არა მარტო გაუშვია რაოდენობაზე ჰაერი ასახვა, არამედ დასაქმებული ადამიანების რიცხვიც გაზარდა. მოგეხსენებათ, სკოლამდელ დაწესებულებებში თანამშრომელთა რაოდენობა ალსაზრდელების რაოდენობის პირდაპირპროპორციულია...

დედოფლისწყაროს ბიბლიოთეკა არის ნათელი მაგალითი იმის, თუ როგორ არ უნდა მოექცე საკუთარ რაიონს და ხალხს. წინა ხელისუფლების პირობებში, ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობა, რომელიც ჰერეთის ქუჩაზე მდებარეობდა, კაპიკებში მიეყიდა ერთ-ერთ ბანკს. ამ ნაბიჯით მათ ჩვენს ახალგაზრდობას და მთლიანად მოსახლეობას, განათლებისკენ და წიგნისკენ მიმავალი გზა დაუკეტეს და გაუხსნეს საკრედიტო ბარათებისა და განვადებებისკენ მიმავალი გზა. 23 000-მდე წიგნი კი შეკრულ მდგომარეობაში დღემდე ელის თავის მკითხველს. ჩვენ 100 000 ლარზე მეტი დავხარჯეთ, რათა ბიბლიოთეკისთვის შესაფერისი შენობა მოგვეძიებინა, შემდეგ კი - გაგვერემონტებინა. ჩვენ შევქმენით ყველა პირობა იმისათვის, რომ აქ მკითხველისთვისაც და მომსახურე პერსონალისთვისაც კომფორტული გარემო იყოს.

„წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობა გაიხსნება დედოფლისწყაროში. მისი ოფისი ქალაქის ცენტრში განთავსდება, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღიჭურვება და უფასო სამედიცინო მოსახურებას გაუწევს დედოფლისწყაროელ პაციენტებს. „წითელი ჯვრის“ დახმარებით იაპონიის მთავრობასთან მემორანდუმი გაფორმდა და იაპონიის მთავრობა 30 000 ლარის ღირებულების სამედიცინო აპარატურას გამოგზავნის.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში 450 000 ლარამდე იყო გამოყოფილი და ამ პროექტის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეული პრობლემის მოგვარება მოხდა. გარკვეული თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გამოიყო და მოსახლეობამ თავად განსაზღვრა ის პრიორიტეტები, რომელიც კონკრეტულად მათი სოფლისთვის იყო აქტუალური.

სოციალური პროექტებისთვის ჩვენს მუნიციპალიტეტს 612 000 ლარი გვაქვს გამოყოფილი.

„სათნოების სახლში“ ყოველდღიურად 250 ბენეფიციარი საკვებით არის უზრუნველყოფილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტ ადამიანს ვაძლევთ საშუალებას, გავუწიოთ დახმარება.

დღეს ჯანდაცვის სისტემაში გიგანტური ნაბიჯებია გადადგმული და ოპონენტებიც კი აღიარებენ ამის წარმატებას. ბევრმა ადამიანმა ისარგებლა უფასო ჯანდაცვის პროგრამით, თუმცა, ამის მიუხედავად, არიან ადამიანები, რომელთაც მაინც სჭირდებათ ჩვენი თანადგომა.

ადგილობრივი ბიუჯეტი ყველანაირად ცდილობს, მხარში ამოუდგეს მოსახლეობას და მათი ჯანმრთელობის პრობლემის შემთხვევაში თანადაფინანსებით შევდივართ.






წელს სოციალურ პაკეტს დაემატა: ჰემოდიალიზზე მყოფი მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა; II მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ინვალიდების ერთჯერადი ფულადი (150 ლარი) დახმარება; 0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვების სტაციონარული მკურნალობისა და ოპერაციების 100% -იანი დაფინანსება; მოსახლეობის ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება; სოციალურად დაუცველი ოჯახების ზამთრის სეზონზე გაზისა და ელ. ენერგიის უზრუნველსაყოფად 20 ლარის დანამატი.

2015 წელს ორჯერ ჩატარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები „ქართული ოცნება-ჯანმრთელი ოცნების“ ეგიდით....

მთლიანად განახლდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების ავტოპარკი. სამი ახალი, თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა გადაეცა ჩვენს სამედიცინო სამსახურს. ჩვენს მოსახლეობას სასწრაფო დახმარების გამოძახებისას მათი დეფიციტით გამოწვეული პრობლემა აღარ აწუხებს.

არც ქველმოქმედება ყოფილა უცხო ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები ეხმარებიან გაჭირვებულ ადამიანებს. და ეს ხდება ყოველთვიურად ყველა სოფლის მასშტაბით.

თბილისის ტრაგედიამ დედოფლისწყაროელებიც გააერთიანა და შეძლებისდაგვარად მატერიალური დახმარება გაუწია მათ“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ასევე ვრცლად ისაუბრა კულტურისა და სპორტის სფეროში არსებულ მიღწევებზე. „მკვეთრად მოიმატა ღონისძიებების რიცხვმა, ჩატარდა „დედოფლისწყაროობა“, სადაც გამოვლინდნენ საპატიო დედოფლისწყაროელები, ბევრი ახალი ანსამბლი ჩამოყალიბდა დედოფლისწყაროში, სადაც ბავშვები ეზიარებიან მუსიკას, ჩვენს ეროვნულ საგანძურს, ქართულ ქორეოგრაფიას და აცილებულები არიან ქუჩას. ასევე ვგეგმავთ, მსგავსი ანსამბლები ჩამოყალიბდეს სოფლებშიც.

შარშან ერთმანეთეს გაემიჯნა კულტურისა და სპორტის სამსახური, რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. ბევრი სპორტული ღონისძიება ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში, ჩვენმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზობებშიც მიიღეს მონაწილეობა და ბევრგან გვასახელეს...

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რასაც ჩვენი სამსახურები ყოველდღიურად აკეთებენ“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ანგარიშის დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა დამსწრე საზოგადოებას მომავალი წლის გეგმები გააცნო და პრიორიტეტები გამოყო. ქედების ზონის გაზიფიცირება, ქედი-დედოფლისწყაროს მონაკვეთის ასფალტის საფარის მოწყობა, სამთაწყაროში სარწყავი სისტემის აღდგენა, ქედების ზონაში ღვინის ქარხნის, არხილოსკალოში იუსტიციის სახლის აშენება და ქ. დედოფლისწყაროს წყალმომარაგების მოწესრიგება.

ინგა შიოლაშვილი

# ღია მეცადინეობაზე საბავშვო ბაღში

ორიოდე დღის წინ ქალაქის N1 საბავშვო ბაღში 5-6 წლიანთა ჯგუფის ღია მეცადინეობაზე მიგვიწვიეს. აქ შესვლისთანავე თვალშისაცემია განსაკუთრებული სისუფთავე, ირგვლივ სახლის სასიამოვნო სურნელი ტრიალებს, განსხვავებით იმ "ბაღის სუნისაგან", რომელიც ათეული წლების მერეც მახსოვს. დარბაზში ფუსფუსია, ყველა ღია მეცადინეობისთვის ემზადება. ბევრჯერ მიფიქრია, რომ საბავშვო ბაღის აღმზრდელები და ზოგადად, აქ მომსახურე პერსონალი განსაკუთრებული ადამიანები არიან, მათი შინაგანი სამყარო ძალიან ფაქიზია, სხვანაირად ასეთ პატარებთან მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, ისინი ხომ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ენერგიას საჭიროებენ. აქ თითოელი ადამიანი ზრუნავს პატარების განწყობასა და განათლებაზე, ფიზიკურ, ემოციურ, ესთეტიურ განვითარებაზე. პედაგოგები გამოყენებული მასალებისა და თვალსაჩინოებების საშუალებით ახერხებენ საბოლოო შედეგზე გასვლას-აღსაზრდელები სწავლობენ სწორ მეტყველებას, ცეკვას, სიმღერას, ძერწვას, აპლიკაციას, უვითარდებათ ნატიფი მოტორიკა, მათემატიკური აზროვნება, უყალიბდებათ ჯგუფური თამაშების უნარები.

პედაგოგ თეა სიფრაშვილის, თანაშემწე ლელა წიკლაშვილისა და მუსიკის მასწავლებლის მარინა ბოსტაშვილის მიერ ჩატარებულმა ღია მეცადინეობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. -სად ვცხოვრობთ, რა ჰქვია ჩვენს დედაქალაქს, ვინ დაარსა იგი, ვინ იყო ვახტანგ გორგასალი, როგორ აღმოაჩინა თბილისი, რა ღირშესანიშნაობები აქვს ჩვენს დედაქალაქს, რა არის შუქნიშანი და რას აწესრიგებს, რისგან შედგება ჩვენი ქვეყანა, კვირის დღეები, წელიწადის დროები, შემოდგომის მახასიათებლები,- ამ და უამრავ სხვა კითხვაზე პატარებმა სხარტად და ამომწურავად უპასუხეს პედაგოგს, თქვეს უამრავი ლექსი სამშობლოზე, თბილისზე, კახეთზე, დადგეს "კონკიას" ზღაპარი, შესრულდა ცეკვები და საერთო ჯამში, ღია მეცადინეობაზე სრულად წარმოჩინდა თითოეული აღსაზრდელის პერსონალური შესაძლებლობები. რაც მთავარია, მიუხედავად აღსაზრდელთა სიმრავლისა, საოცრად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა ღია გაკვეთილი, პედაგოგს არ სჭირდებოდა მოსწავლეებისთვის წესრიგისკენ მიეთითებინა.

დასასრულს ბაღის დირექტორმა ქეთინო დოლიძემ მადლობა გადაუხადა პედაგოგებს ასეთი საინტერესო მეცადინეობის ასე სრულყოფილად ჩატარებისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები და პედაგოგები სხვადასხვა ბაღებიდან.

ელზა ხარაშვილი

# არბოშიკის საბავშო ბაღში სარემონტო სამუშაოები დასრულდა

სოფელ არბოშიკის საბავშო ბაღში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. არბოშიკის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მოხდა საძინებელი ოთახების, დერეფნების სველი წერტილების მოწყობა. შიდა და გარე საკანალიზაციო სისტემის მონტაჟი, შეიცვალა სახურავი და მოხდა გაზიფიცირება. სარემონტო სამუშაოებში 80 ათასი ლარი დაიხარჯა. გარემონტებული ბაღი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ სოლომონ ღორაშვილმა, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა დავით ფხოველიშვილმა, არბოშიკში გამგებლის წარმომადგენელმა მურად ელაშვილმა და ამავე სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა არსენ ბაღაშვილმა დაათვალიერეს.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ბაღები ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა. ჩვენი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პირველი რაც დაიწყო ეს იყო ბაღებზე ზრუნვა და სწორედ პირველი უფასო ბაღი დედოფლისწყაროში გახდა. გასულ წლამდე მხოლოდ არბოშიკის საბავშო ბაღიღა იყო გასარემონტებელი, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო, დანარჩენი ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გარემონტდა. 2014 წელს მოხდა სახურავის გამოცვლა, წელს კი სრულფასოვანი რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სარემონტო სამუშაოებში დაახლოებით 80 ათასი ლარი დაიხარჯა - გარემონტა როგორც შიგნიდან, ასევე გარედან, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და შეიქმნა ყველა ის პირობა, რომელიც აუცილებელია ბავშვების სრულფასოვანი აღზრდისთვის. აღნიშნულმა რემონტმა მთლიანად შეცვალა ბაღის შენობა. ეზოც ხელს უწყობს, რომ ბავშვებისთვის სიმყუდროვე იყოს" . - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

# ორ თვეში ცოფის სამი შემთხვევა

ორ თვეში ცოფის გამოვლენის სამი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. ამჯერად, ცოფი სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები ერთერთი მოქალაქის ძაღლს აღმოაჩნდა, ქალაქ დედოფლისწყაროში კი მსხვილფეხა პირუტყვს, ორივე შემთხვევაში დაავადება ლაბორატორიულად დადასტურდა. ცოფი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებით. მისი ამთვისებელია ყველა სახის თბილსისხლიანი ცხოველი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში მომაკვდინებელი ინფექციური დაავადების კერა დედოფლისწყაროს სამ სხვადასხვა ადგილას გამოვლინდა, სპეციალისტები ამბობენ, რომ პანიკის საფუძველი არ არის და შესაბამისი უწყებები ცოფის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებს აქტიურად ატარებენ.

მიმდინარე წელს ცოფის გამოვლენის სტატისტიკა კი ასეთია - 31 აგვისტოს სოფელ სამრეკლოში მსხვილფეხა პირუტყვს; 7 სექტემბერს სოფელ სამთაწყაროში ბესიკ ფუტკარაძის ოჯახში ძაღლს, ხოლო 9 ოქტომბერს ქალაქ დედოფლისწყაროში გელა მანუკიანის მსხვილფეხა პირუტყვს.

ქ. დედოფლისწყაროში მცხოვრებ გელა მანუკიანს მსხვილფეხა პირუტყვში ცოფის შემთხვევის გამოვლენის პერიოდისათვის დაახლოებით 10 სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავდა, რომლებსაც დაავადების რაიმე ნიშნები არ აღენიშნებოდათ. როგორც მეპატრონე ამბობს საქონლისთვის არც რაიმე ნაკბენი შეუმჩნევია.

კახეთის რეგიონულმა სამმართველომ წერილობით მიმართა კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს, ინფექციის კერის არაკეთილსაიმედოდ გამოცხადების შესახებ, რის შემდეგაც გუბერნატორის ბრძანების საფუძველზე კარანტინი ამოქმედდა.

როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ვეტერინარი სპეციალისტების მიერ ინფექციის კერაში აიცრა 319 სული ძაღლი, 86 სული კატა, 277 მსხვილფეხა და 49 წვრილფეხა პირუტყვი, 3 კენტჩლიქიანი ცხოველი, 11 ღორი, 11 კურდღელი. დაავადების გავრცელების კერაში გაკეთდა დეზინფექცია, ეცნობა ჯანდაცვის ორგანოებს. ცოფის დაავადების შემდგომ გამოვილინებებს დედოფლისწყაროში ადგილი არ ჰქონია.

მიმდინარე წელს დედოფლიწყაროში გარდა ამ შემთხვევისა დაფიქსირდა ცოფის კიდევ ორი შემთხვევა, სოფელ სამრეკლოსა და სოფელი სამთაწყაროში. ოფიციალური მონაცემებით, სამრეკლოში აიცრა 1 559 დაავადების ამთვისებელი ცხოველი, ხოლო სამთაწყაროში აცრა 229 ცხოველს ჩაუტარდა. პროფილაქტიკის მიზნით დედოფლისწაროს რაიონში ამ ეტაპისათვის აცრილია 3 361 ძაღლი და კატა, მხოლოდ ქ. დედოფლისწყაროში 558 სული ძაღლი და კატა.

რაც შეეხება ადამიანებს, მათზე ზედამხედველობა რაიონული ჯანდაცვის ცენტრის მოვალეობაა. როგორც დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრში აცხადებენ, აღნიშნული ოჯახის წევრებს ანტირაბიული მკურნალობის კურსი უტარდება. ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ლალი ალადაშვილი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ პრევენციული ზომების გატარება ოპერატიულად დაიწყო.

„მიმდინარე წელს დედოფლისწყაროში ეს ცოფის მესამე შემთხვევაა. ამჯერად, ინფექციური დაავადება ქალაქ დედოფლისწყაროში მცხოვრები გელა მანუკიანის ოჯახის კუთვნილ პირუტყვს აღმოაჩნდა. ლეშს თავი მოეკვეთა, ლაბორატორიული კვლევებისთვის გაიგზავნა თბილისში და მოგვიანებით ცოფის შემთხვევა დადასტურდა. ამის შემდეგ, სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სამსახურმა ოფიციალურად მოგვმართა და ჯანდაცვის ცენტრი შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდა. უკვე მოძიებულია დაავადებულ ცხოველთან კონტაქტში მყოფი ყველა პირი. ასეთი აღმოჩნდა ხუთი პირი, ხუთივე ამ ოჯახის წევრია. იმავე დღეს დავიწყეთ ყველა მათგანის აცრები. ვინაიდან სხვა პირებს დაავადებულ საქონელთან შეხება არ ჰქონია, სხვა შემთხვევებში აცრების დაწყების საჭიროება არ იყო. ხსენებული ოჯახის წევრები კი რამდენიმე თვიან ანტირაბიული მკურნალობის სრულ კურსს გაივლიან. ვეტერინარულმა სამსახურმა კი მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა სახის ცხოველის აცრები განახორციელა“. - აღნიშნავს ლალი ალადაშვილი.




შეგახსენებთ, ამ დრომდე კარანტინი მოქმედებდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სამრეკლოსა და სამთაწყაროში. სამრეკლოში, სადაც ცოფი შინაურ პირუტყვს აღმოაჩნდა, დაავადებულ საქონელთან უშუალო კონტაქტი რამდენიმე ადამიანს ჰქონდა. როგორც ოჯახის დიასახლისი ამბობს, თავდაპირველად ეგონა ძროხამ რაიმე გადაყლაპა, რის გამოც შველას ცდილობდა და ხელზე ნაკაწრები მიიღო.

„სოფელ სამრეკლოში მოსახლეობის აცრები, რომელიც რამდენიმე თვე მიმდინარეობდა უკვე დასრულებულია. საბედნიეროდ, კონტაქტში მყოფ მოქალაქეებზე ცოფის გავრცელება არ მომხდარა. წინა შემთხვევაში სოფელ სამრეკლოში ცხრა ადამიანს უტარდებოდა ცოფის საწინააღმდეგო აცრები, რადგან იქ დაავადებულ ძროხასთან შეხება ოჯახის წევრების გარდა მეზობლებსაც ჰქონდათ. ისინი დაცემული პირუტყვის გადაადგილებას შეეცადნენ,“ - აღნიშნავს ლალი ალადაშვილი.

გაზეთ „შირაქის“ კითხვაზე, კარანტინის მოქმედების პერიოდში რატომ იყიდება ცოფის გავრცელების კერაში რძე და რძის პროდუქტები, ვის ევალება პროცესის კონტროლი და უნდა იყოს თუ არა პროდუქცია შეზღუდული, სურსათის ეროვნულ საგენტოში უპასუხეს.

სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ოთარ პარკაძე ამბობს, რომ სურსათის სააგენტოს კონტროლის მექანიზმი არ აქვს და ცალკეულ სოფლებში ვერც პატრულირებას განახორციელებს. მისი განმარტებით, ისინი რეგიონების ხელმძრვანელობასთან აქტიურ კონტაქტში არიან და ინფორმაციას ოპერატიულად აწვდიან. კარანტინის გამოცხადების შემდეგ, პროცესზე მეთვალყურეობას რეგიონების გუბერნიები ახორციელებენ. რძის პროდუქტების რეალიზება კი ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააკონტროლოს.

**ილია მარტყოფლიშვილი**

# გარემოს დაცვის 3 წლის ანგარიში

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2013-2015 წლის ანგარიში წარადგინა. მდგრადი განვითარება და გარემოს დეგრადაციის შემცირება - ესაა ორი მიზანი, რომელიც, მინისტრ გიგლა აგულაშვილის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს ორი საკითხი ათობით მიმართულებას აერთიანებს.

გარემოს მართვის გაუმჯობესება, საზოგადოების ჩართულობის ამაღლება, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება და ევროინტეგრაციის ხელშეწყობა. გარემოს დაცვის სფეროში ამ ოთხი მიმართულების სხვადასხვა დეტალზე ილაპარაკა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა 2013-2015 წლის ანგარიშში. მან ისაუბრა მიღწევებსა და გამოწვევებზე ბიომრავალფეროვნების დაცვის, წყლის რესურსებისა და ტყის მართვის, გარემოსა და ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და სხვა მიმართულებით.

გიგლა აგულაშვილმა ილაპარაკა ასევე საკანონმდებლო ბაზაზე, დოკუმენტებზე, რომლებიც უკვე დამტკიცდა და რომლებზე მუშაობაც ახლა იწყება. ერთ-ერთი ასეთია გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი.

კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის გარემოს დაცვითი პროექტების კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი ამბობს, რომ ამ ახალი დოკუმენტის მიღება სახელმწიფოსგან წინგადადგმული ნაბიჯია:

„იყო სერიოზული პრობლემები. მთლიანობაში, საკითხი ასე იყო დასმული: გარემო ეკონომიკის წინააღმდეგ, რაც არასწორი გათვლა იყო. დღეს, როცა ჩვენ ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე ვართ, ეს უნდა დავივიწყოთ. ეკონომიკა და მდგრადი განვითარება სწორედაც გარემოს დაცვითი საკითხების გაზიარებას მოითხოვს“.

გიგლა აგულაშვილმა განმარტა, რამდენად შეეხება შეცვლილი კანონმდებლობა იმ პროექტებს, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის დღეს მოქმედ სტანდარტებზე დაყრდნობით განხორციელდა.

„ის, რაც განხორციელდა, ბუნებრივია, შეიძლება ვერ შევცვალოთ, მაგრამ ის, რაც განსახორციელებელი დარჩა, შეიძლება ახალმა სამართლებრივმა ჩარჩომ დაარეგულიროს“.

დიდი პროექტებიდან ერთ-ერთი, რომელზე მუშაობაც უკვე დაიწყო და გარემოს დამცველების კრიტიკა დაიმსახურა, „ხუდონჰესია“. სხვადასხვა ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პროექტის გარემოზე ზემოქმედება არასწორადაა შეფასებული. როგორც რეზო გეთიაშვილი ამბობს, ახლა მთავარია კანონპროექტი ევროპული სტანდარტების შესაბამისად გაიწეროს:

„მნიშვნელოვანია მოსახლეობა ჩართული იყოს გადაწყვეტილების მიღებაში და არა შემდგომ ეტაპზე, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია, რისი გამოცდილებაც ჩვენ გვქონდა“.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ანგარიშის ერთ-ერთი საკითხი ჰაერის ხარისხის მონიტორინგია. როგორც გიგლა აგულაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფომ უკვე დაიწყო სამი ავტომატური სადგურის შეძენა და მონტაჟი რუსთავში, ბათუმსა და ჭიათურაში. მან ისაუბრა ბენზინისა და დიზელის ხარისხის კონტროლის გამკაცრებაზეც. 2015 წლიდან კონტროლდება საწვავში გოგირდის შემცველობა და, როგორც სამინისტროში გეგმავენ, 2016 წლიდან ბენზინის ხარისხი ევრო-4-ის სტანდარტს უნდა გაუტოლდეს.

რეზო გეთიაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ჰაერის ყველაზე მთავარი დამაბინძურებელი ტრანსპორტია, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია საწარმოების გაკონტროლება:

„იქ, სადაც ინდუსტრია განვითარებულია, სერიოზული პრობლემებია. აქაც პირველ რიგში პრობლემაა რბილი კანონმდებლობაა. მეწარმეს, ბიზნესს, ინდუსტრიას უმსუბუქდება გარემოსდაცვითი ხარჯი. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება“.

რეზო გეთიაშვილის თქმით, დღეს სახელმწიფოს აქვს რესურსები ეკონომიკა ისე განავითაროს, რომ გარემოს ზიანი არ მიაყენოს. ამისათვის კი მთავარია, მეწარმის ინტერესებთან ერთად, მოსახლეობის ინტერესებიც დაცული იყოს.

# მეგობრობა გზად და ხიდად

ნათქვამია: ძმაო, ძმათა ხარ ძლიერი, თორემ მტერ მოგერედაო". მართლაც, განუზომელია მეგობრობის დიადი ძალა. უდიდესი სისათუთო და დაჟინებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას დარიგება: „ ეძებდე მეგობარს, აფასებდე მეგობარს"

დიდი რუსთაველი ბრძანებდა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად.

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".

რუსთაველმა სხვადასხვა ქვეყნის რაინდები დაამეგობრა და ერთობლივი ძალით ქაჯეთის ციხე ააღებინა.

„თუ არ ძმობა-მეგობრობა

ქაჯეთს სხვა რა შეამტვრევდაო" – ვკითხულობთ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში.

თითქოს ამ მოწოდებას უგდებდნენ ყურსო, ერთმანეთის მხარდამხარ საუკუნეთა მანძილზე მიდიოდნენ ქართველები და მოძმე ხალხები და მათ შესანიშნავი მედროშეები ჰყავდათ განათლებული, საღად მოაზროვნე ადამიანების სახით.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობაზე შესანიშნავად წერდა იოსებ გრიშაშვილი:

„თიღლისი, ბაქო და ერევანი,
რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი
ძმურ მარანშია დაკიდებული".

ამიეკავკასიის ხალხთა მეგობრობას უმღეროდა საიათნოვა. იგი ლექსებს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე წერდა.მისი ლექსთა კრებულია. „სიტყვას" ვიტყვი, ცამ ზუხილი დაიწყოს, რომლის რედაქტირება და წინასიტყვაობა მწერალ გიორგი ნატროშვილს ეკუთვნის.

საქართველოში დიდხანს ცხოვრობდა და ხალხთა მგობრობის იდეას ქადაგებდა აზერბაიჯანელი კომედიოგრაფი მირზა ფატალი ახუნდოვი. მისი კომედიები პირველად თბილისში დაიბეჭდა. მას დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონდა სოციალ-დემოკრატებთან და მისი კომედიები თბილისის თეატრებში იდგმებოდა. ამჟამად ბაქოს დრამატული თეატრი მის სახელს ატარებს. დაკრძალულია თბილისში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე.

ქართველებისათვის. და არამარტო ქართველებისათვის, კარგადაა ცნობილი უზეინ ჰაჯიბეკოვის სახელი. მისი ოპერეტა „არშინ მალალან" დიდხანს იდგმებოდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში. ოპერეტაში გაჟღერებულ „ფრთიან" გამოთქმებს დღესაც იმეორებენ ახალგაზრდები.

ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა აკაკი წერეთელს სომეხ მწერლებთან: სუნდუკიანთან და ოვანეს თუმანიანთან. თუმანიანის პოემა „ანუში" ადრე სასკოლო სახელმძღვანელოში იყო შეტანილი.

არამარტო საქართველოსა და სომხეთს, არამედ საბჭოეთს გაუთქვეს სახელი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ტიგრან პეტროსიანმა და ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონმა რაფაელ ჩიმიშკიანმა. საამაყო იყო აფხაზეთის წარმომადგენლის ვიქტორ სანაევის წარმატებებიც.

ქართული კინომატოგრაფიის სათავეებთან იდგა ღვაწლმოსილი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სომხეთმა თბილისიდან წაიღო მისი მემორიალური ნივთები, ერევანში სახლ-მუზეუმი გახსნა და თბილისში კი, მის მშობლიურ ქალაქში, მისი სახლმუზეუმი არ არის.

ნაყოფიერია ქართველი და სომეხი მეცნიერების მეგობრობაც. თბილისში დაბადებული იყო მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, სომხეთის მეცნირებათა აკადემიის პრეზიდენტი და ბიუკანის ასტრონომიული ობსერვატორიის დირექტორი ვიქტორ ამბარცუმიანი. ბედნიერება მქონდა მენახა იგი პროფესორ გორდეზიანთან ერთად აბასთუმანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. მისი და აკადემიკოს ევგენი ხარაძის თაოსნობით ხშირად იმართებოდა სამეცნიერო კონფერენციები როგორც აბასთუმანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ქათულ-აფხაზური მეგობრობის მებაირასტრე გახლდათ დიმიტრი გულია, ხოლო ქართულ-ოსურისა- კოსტა ხეთაგუროვი.

ახლო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან და ქართველ მწერლებთან ლევ ტოლსტოის, ევგენი ევტუშენკოს, მაქიმ გორკის და სხვებს. მაქსიმ გორკიმ ხომ პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა" თბილისში დაწერა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამკურნალოდ ჩამოსულმა ლესია უკრაინკამ სამუდამო განსასვენებელი სურამში ჰპოვა.

რევოლიციონერი კამო (ტერ-პეტროსიანი) თბილისში იყო დაბადებული და რევოლუციონერული მოღვაწეობაც ამიერკავკასიაში დაიწყო.

ხელოვნება და პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში გამიჯნულია: ქართველ ხელოვნების მუშაკებს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ რუს, სომეხ, აზერბაიჯანელ, აფხაზ, ოს, უკრაინულ კოლეგებთან.

ქართულ საოპერო სცენას თავის დროზე ამშვენებდნენ საქვეყნოდ ცნობილი რუსი მსახიობები ფიოდორ შალიაპინი და ვერა დავიდოვა, სომეხი მსახიობები: გოჰარ გასპარიანი და არტურ აიდინიანი, აზერბაიჯანელები: მუსლიმ მაგომაევი, რაშიდ ბეიბუთოვი, ზეინაბ ხანლაროვა და სხვები.

საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტსა და კონსერვატრიაში დიდხანს მოღვაწეობდნენ გიორგი ტოვსტონოგოვი და ვერა დავიდოვდა.

ქართველ მაყურებელს კარგად ახსოვს არამ ხაჩატურიანის ბალეტ „გაიანედან" „ცეკვა ხმლებით".

მრავალი ჩვენი საამაყო მსახიობი მოძმე ქვეყნებში დახელოვნდა. დღესაც ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი მოსკოვის დიდი თეატრის საოპერო მომღერლები არიან. პრიმა ბალერინა ირმა ნიორაძე სანტკპეტერბურგია მარინის თეატრში მოღვაწეობს. პრიმა ბალერინა ვერა წიგნაძემ ცეკვა ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეტრიდან დაიწყო, ხოლო მომღერალმა ლამარა ჭყონიამ–კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან.

მეგობრული ურთიერთობა კინო ინდუსტრიაშიც გვქონდა. აზერბაიჯანულ კინოში „მე ვიცეკვებ" დაგმარას როლს ლეილა აბაშიძე ასრულებდა, ხოლო სოფიკო ჭიაურელი სომხეთის სხალხო არტისტი იყო. ასევე რამდენიმე სომხურ კინოში მარინე თბილელი ქალის მთავარ როლს ასრულებდა.

ოსი და ქართველი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ იქცა კოსტა ხეთაგუროვის პიესა „ფატიმას" მიხედვით გადაბული ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ ქართველები: ოთარ მელვინეთუხუცესი და გიული ჭოხონელიძე; ოსი თამარ კოკოევა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ჯარების საველე სადგომები დედფლისწყაროს მახლობლად იყო მოწყობილი. ამ მიმართულებას, რადგან მტერი, ძირითადად, ამ მხრიდან აწყდებოდა, რუსეთის სარდლობა დიდ ყურადღებას აქცევდა. მას „ლეკეთის საკორდონე ხაზი" დაერქვა. ამ ფრონტზე ავლენდნენ განსაკუთრებული გმირობით, მამაცობით და გულადობით განთქმულ მეომრებს, ეს ადგილი რისეთის მეფემ ნიკოლოზ პირველმა მარჯვედ გამოიყენა რუსეთის თავისუფალ მოაზროვნე მოწინავე ინტელიგენციის, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეების დასასჯელ ადგილად. თუ ციმბირში არა, დამნაშავედ ცნობილს აქ, ამ ფრონტზე აგზავნიდნენ.

1825 წლის დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ ნიკოლოზ პირველის ბრძანებით აქ გადმოასახლეს დეკაბრისტები: ბესტუჟევი, ოდოევსკი, დეჟუბური, ალექსანდრე პუშკინის ძმა ლევ პუშკინი. 1837 წელს გვარდიიდან გადმოასახლეს ნიჟგოროდის პოლკში გამწესებით დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვი. მას მოჰყვა მისი მეგობარი. სტოლიპინი. ამავე მიზეზით XIX საუკუნის 40-იან წლებში გადმოასახლეს რუსი პოეტი როზენჰეიმი.

ეს ახალგაზრდები თავს იყრიდნენ დედოფლისწყაროში მცხოვრებ გადამდგარი ოფიცრის გრიგოლ ნეჩვოლოდოვის ოჯახში. ამ შენობაში ახლა ხალხთა მეგობრობის მუზეუმია და დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია მასალების აქ გაცნობა. ამ საკითხზეა პ. ლესნოვის წიგნი „ალაზნის ნაპირებზე";

ბევრი რამის თქმა შეიძლება სეჩი ზაპოროჯიიდან ჩვენს სოფელში გადმოსახლებული კაზაკების შესახებ, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.

ჩემი მოსწავლეობის პერიოდში დიდი მეგობრობა გვქონდა ქართველ და რუს მოსწავლეებს. ვაწყობდით ერთობლივ ექსკურსიებს, ლაშქრობებს, თემატურ საღამოებს, კონცერტებს. რა დამავიწყებს შესანიშნავ რუს მეგობრებს: მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტიტეტის პროფესორს პეტრე ლესნოვს, არსენა გოგეშვილს, ზოია ბონდარენკოს, ზინა ხალადნოვას და სხვებს. ღონისძიებების ორგანიზატორი იყო რუსულსკოლელი ვენერა მოსულიშვილი.

დიდი ურთიერთობა მქონდა ბაქოს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სოიფადინ გარუბოვთან, რომელიც ამჟამად იორმუღალოს სკოლაში ასწავლის.

თავის დროზე დიდ საქმეებს აკეთებდა პიონერული ორგანიზაცია. ჩემი დირექტორობის პერიოდში ურთიერთობა გვქონდა კახის რაიონის სოფელ ალათემურის სკოლასთან, გვქონდა მისვლა-მოსვლა.

ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი გახლდათ აკაკი წერეთელი, რომლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა.

დიდი პოეტი სამშობლოს განუზომელ სიყვარულს ყოველთვის უკავშირებდა ხალხთა მეგობრობის იდეას. თავისი ერის სიყვარულში იგი მუდამ სხვა ერისადმი პატივიცემასა და მოკრძალებას აქსოვდა. აკაკის აზრით, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი განუყრელია ინტერნაციონალიზმისაგან. ეს პროგრესული და ხალხურობით გამთბარი შეხედულება აკაკიმ მრავალჯერ გამოთქვა თავის პოეტურ შედევრებში. იგი წერდა:

„იმას არ ეთქმის „ადამიანი",
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს,
და სხვა ტომებს - კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი-
მტერს".

აკაკი ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობისა და სიყვარულის დამყარებას უწმინდეს მოვლენად აღიარებდა, იგი მიაჩნდა ცხოვრების სიტკბოდ და მოუწოდებდა ყველას ამ კეთილშობილური გრძნობის განვითარებისა და დაფუძნებისათვის, მისი განხორციელებისათვის თავდადებას და საჭირო შემთხვევაში სიცოცხლის შეწირვასაც კი.

აკაკის განსაკუთრებულად მოსწონდა, რომ ლევ ტოლსტოი ქადაგებდა „ერთობას, თანასწორობასა და სიყვარულს".

პოეტს ძლიერ უყვარდა ტარას შევჩენკო. „ვაღიარებ, რომ მე,- წერდა მხცოვანი პოეტი,- პრველად მისი სიტყვებიდან გვიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული".

აკაკი მაღალი პოეტური ხმით უმღეროდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგოროობას, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, ერთმანეთის სიყვარულის გრძნობას. პოეტს გულწრფელად უყვარდა სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ოსი და საერთოდ კავკასიელი ხალხები. მოძმე სომხეთის შესახებ წერდა; „ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ძმური განწყობილება ჰქონდათ", და ურთიერთობის ამ კეთილი დამოკიდებულების ნიადაგზე არაერთგზის მორწყულა სასომხეთის მიდამოები მათ მომხრე და მათთვის თავდადებულ ქართველებისაგან მოწამეთა სისხლით. ეხება ანისისათვის ბრძოლას, ვინ მოსთვლის „ჭირი რამდენი უნახავს ანის ქალაქსა".

გ. გუნდუკინისადმი მიღვნილ ლექსში აკაკიმ ჩააქსოვა ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობები:

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მიდამოს და ერთი მთისა".

პოეტი უგალობდა სომეხ ხალხთან ძმურ, განუყრელ და მტკიცე კავშირს. იგი წერდა: „მიყვარს და მსურს, რომ ჩვენს შორის ისეთივე განწყობილება იყოს, როგორც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ, მინდა, რომ ამიერიდან მაინც ძმურად, ხელჩაკიდებული, ერთი სწორი გზით მივდიოდეთ მომავლისაკენ".

ეს გვინდა ჩვენ დღესაც!

პოეტს შეჩვენების ღირსად მიაჩნდა ყველა, ვინც ხალხთა მეგობრობა და სიყვარული წმინდათაწმინდა იდეალს უღალატებდა.

„მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იოს წეული, ის იოს კრული,
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს
ძმობა, ერთობა და სიყვარული".

როგორც ცნობილია, მზესაც აქვს ლაქები, მაგრამ მის ცხოველმყოფლობასა და უზარმაზარ სინათლეს ვერაფერს აკლებს. ნათქვამია, სადაც მზის სინათლეა, იქ ჩრდილები მკვეთრად ჩანსო.

ქართველი ხალხი ყოველთვის იყო შემწყნარებელი და კაცთმოყვარე, ინტერნაციონალისტი. მას მრავალი ეროვნების ადამიანისათვის მიუცია თავშესაფარი და თავის მინაწყალზე მიუჩენია მისთვის ბინა.

პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ცარიზმმა თავისი ბატონობის განსამტკიცებლად საზიზღარ ხერხს მიმართა, გააჩაღა ძმათამკვლელი ომები, ერთმანეთს წაუსისინა ამიერკავკასიის ხალხები. ამის მაგალითია აზერბაიჯანში მცხოვრები სომხების ამბებიც. აზერბაიჯანელი მუსავატელების მიერ დევნილმა სომხობამ თავშესაფარი საქართველში, კეროდ საბათლოში ჰპოვა. ქართველმა ხალხმა ყოველგვარი პირობა შეუქმნა სომხებს ცოვრების დონის მოსაწესრიგებლად.

ადრეულ საუკუნეებში საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა სპარსეთი და ოსმალეთი. მათი პირველი დარტყმა სომხეთზე მოდიოდა დევნილი მოსახლეობა თავს საქართველოში აფარებდა და შემდეგ საცხოვრებლად მკვიდრდებოდა ასე შეიქმნა სომხური დასახლებები თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთში.

ტოლერანტული იყვნენ ჩვენი მეფეებიც. ერეკლე მეორემ VIIIსაუკუნეში სიღნაღსა და თელავში სომხები დაასახლა.

ჩვენ ხალხს სიკეთე არ ებევრება, მაგრამ სიკეთესაც დანახვა უნდა. სამწუხაროდ, ქართულ- აფხაზური კონფლიქტის დროს ბაგრამიანის სომხური შენაერთები საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ზოგიერთი სომეხი „ვაი ისტორიკოსი" კი ცდილობს, გააყალბოს ისტორიული სინამდვილე და ლორესა და ალავერდში ქართული ტაძრების წარმომავლობა ეჭვქვეშ დააყენოს. ის არ კმარა, რომ გასაბჭოების ტრაგიკულ მოვლენებს ემსხვერპლა ქართული ტერიტორიების ნაწილი და სომხეთს მიეკუთვნა?!

ბევრ პრეტენზიას აყენებს არასამთავრობო ორგაიზაცია „ ჯავახეი", თუმცა მათ სომხეთისა და საქართველოს მთავრობები არ ეთანხმებიან.

ადრიდანვე კარგი ურთიერთობა გვქონდა მართმადიდებელ საბერძნეთთან ახლაც მათთან ჩვენი მიგრანტების დიდი რაოდენობაა, რისთვისაც მათზე მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ჩვენი გულისტკივილია დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო მათი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის გამო, მაგრამ ისტორია ყველას თავის საკადრის ადგილს მიუჩენს.

ეგული ყოჩიაშვილი

# გული, თირკმელები და მინერალები

დღეს ცნობილია, რომ ჯანსაღი კვება ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ბალანსირებულ მიღებასთან ერთად აუცილებელი მინერალებით ორგანიზმის უზრუნველყოფასაც გულისხმობს. ქვემოთ იმაზე ვისაუბრებთ, რა მნიშვნელობა აქვს მინერალებს გულისა და თირკმლის დაავადებების დროს, შეგვიძლია თუ არა, მათი მეშვეობით არასასურველი გართულებები თავიდან ავიცილოთ.

## მეტი მაგნიუმი

მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ მაგნიუმის დეფიციტს მჭიდრო კავშირი აქვს არტერიული წნევის მომატებასთან, ზოგი მათგანი კი იმაზეც მიუთითებს, რომ მაგნიუმის დანამატების გამოყენებით შესაძლებელია გულის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მეცნიერები აღნიშნავენ, რომ უფრო მეტი მაგნიუმის მიღებით გულის დაავადებათა სიხშირე შესაძლოა განახევრდეს კიდეც. მათი აზრით, მაგნიუმი ორგანიზმში, კერძოდ, გულსა და სისხლძარღვებში არსებული კალციუმის არხების ბუნებრივი ბლოკერია. ამ არხების ბლოკირება ამცირებს წნევის მატებისა და გულის შეტევის რისკს. მაგნიუმით მდიდარია მწვანე საკვები (ისპანახი, ბროკოლი, სალათის ფურცლები, პრასი), საღი ხორბალი, თხილი, კაკალი. დადგენილია, რომ საკვების თერმული დამუშავება მაგნიუმის დიდი რაოდენობით კარგვას ინვევს, ამიტომ რეკომენდებულია, დასახელებული პროდუქტები, შეძლებისდაგვარად, უმად მივიღოთ. მართალია, მრავალი დაავადების დროს მაგნიუმის დიდი ოდენობით მიღებაა რეკომენდებული, მაგრამ არსებობს ზედა ზღვარიც. ჯანმრთელი ადამიანისთვის მაგნიუმის სადღეღამისო ნორმა 350 მგ-ს არ აღემატება. დიდი ოდენობით მაგნიუმის მიღებით შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის აღმოცენების რისკის შემცირება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მაგნიუმის უკმარისობა შესაძლოა ინსულინის ფუნქციის ან მისდამი მგრძნობელობის დაქვეითების მიზეზად იქცეს. მაგნიუმით ორგანიზმის სათანადო მომარაგება ხელს უწყობს ინსულინის ნორმალურ ფუნქციობას, რაც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პროფილაქტიკის საშუალებაა. დიაბეტის რისკის შემცირებით კი შეიძლება თავიდან ავიცილოთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. ეს ბუნებრივიცაა - ამერიკის გულის ასოციაციის მონაცემების თანახმად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ექვს უმთავრეს რისკფაქტორს შორის ერთ-ერთი სწორედ დიაბეტია.

## კალციუმი

უმრავლესობას ჰგონია, რომ კალციუმი მხოლოდ ძვლებისთვისაა საჭირო, თუმცა დღეს მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია. კალციუმი გვეხმარება წონის რეგულირებაში, რითაც არაპირდაპირი გზით ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს - ჭარბი წონა და სიმსუქნე ხომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკფაქტორია. კალიუმსა და მაგნიუმთან ერთად კალციუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს წნევის რეგულირებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით სპეციალისტები გვირჩევენ, დღეში 2-3 ულუფა კალციუმით მდიდარი საკვები მივიღოთ. შეგახსენებთ, რომ კალციუმით განსაკუთრებით მდიდარია რძე და რძის ნაწარმი.

## კალციუმი - გულის შეტევის მიზეზი?

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, კალციუმის დანამატების მიღებისას სიფრთხილე გვმართებს, რადგან არ არის გამორიცხული, გულის შეტევას გაუწიონ პროვოცირება. ამერიკელი მეცნიერები 11 წლის განმავლობაში იკვლევდნენ 24 000 პაციენტს. მათ, ვინც კალციუმის დანამატებს იღებდა, 86%-ით ჰქონდათ მომატებული გულის შეტევის რისკი, თუმცა თავად შეტევათა რიცხვი დაკვირვების პერიოდში მხოლოდ 354-ს აღწევდა. გულზე კალციუმის გავლენის კვლევა წლების განმავლობაში განსხვავებულ შედეგებს იძლეოდა - ზოგი გამოკვლევა მიუთითებდა, რომ კალციუმით მდი

დარი დიეტა ამცირებდა არტერიული ჰიპერტენზიის, სიმსუქნის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის, ინსულტისა და გულის დაავადებათა რისკს, თუმცა ყველა გამოკვლევის შედეგი ასეთივე როდი იყო. დღეს ცნობილია, რომ მკვლევრებმა ვერ აღმოაჩინეს კავშირი საკვებში კალციუმის შემცველობასა და ინსულტს შორის. ასევე არ დადასტურდა კავშირი საკვებში კალციუმის შემცველობასა და გულის დაავადებებს შორის. პირიქით, გაირკვა, რომ საკვების მეშვეობით დიდი რაოდენობით კალციუმის მიღებისას გულის შეტევათა რისკი მცირდება. საპირისპირო მონაცემებს გვაწვდის კალციუმის მედიკამენტური დანამატების მიღების კვლევა. ამ შემთხვევაში გულის შეტევათა რისკი 86%-ით მაღალია. ამ მონაცემების გათვალისწინებით სპეციალისტები გვირჩევენ, მედიკამენტურ დანამატებს კალციუმით მდიდარი საკვები ვამჯობინოთ. მათ მიაჩნიათ, რომ კალციუმის შემცველი მედიკამენტური დანამატები ვერ გვაძლევს ისეთსავე მეტაბოლურ ეფექტს, როგორსაც ამ ელემენტით მდიდარი საკვები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გზავნილია ქალებისთვის. მათ კარგად იციან, რომ კალციუმის მიღება აუცილებელია და ხშირად ჰგონიათ, რომ მედიკამენტური კალციუმი სრულფასოვნად შეცვლის რძის ნაწარმს და კალციუმით მდიდარ სხვა საკვებს. სინამდვილეში კი კალციუმით მდიდარი სურსათი გაცილებით სასარგებლო და ნაკლები საფრთხის შემცველია.

## კალიუმი

კალიუმს გულის დაავადებების პროფილაქტიკის ან მკურნალობის კუთხით უშუალო ეფექტი არ აქვს, მაგრამ ცნობილია, რომ ის წნევის რეგულირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ეფექტი რომ გამოვლინდეს, რეკომენდებულია ყოველდღიურად ხუთიდან ცხრა ულუფამდე კალიუმით მდიდარი საკვების მიღება. კალიუმით მდიდარია რძის ნაწარმი, ბანანი, კარტოფილი, ატამი, გარგარი, ფორთოხალი, მარწყვი, ქლიავის ჩირი, ფინიკი, ლობიო, ბარდა. ერთი საშუალო ზომის კანიანად შემწვარი კარტოფილი 850 მილიგრამ კალიუმს შეიცავს, 10 ცალი გარგარის ჩირი - 407 მილიგრამს, 1 ჭიქა ქიშმიში - 1099 მილიგრამს, 1 ჭიქა გოგრა — 896 მილიგრამს. მაღალ არტერიულ წნევასთან ბრძოლის მიზნით რეკომენდებულია დღეში 3500 მგ კალიუმის მიღება - დადგენილია, რომ კალიუმის ეს რაოდენობა სისტოლური წნევის 10 მმ-ით დაქვეითებას იწვევს. გარდა კალიუმისა, დასახელებული პროდუქტები მდიდარია ბოჭკოთი, ბოჭკოს კი შეუძლია ქოლესტეროლის დაქვეითებაში დაგვეხმაროს. კალიუმი აუცილებელია ზოგიერთი არითმიის მკურნალობისას. ამ შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევით წინასწარ ფასდება სისხლში მისი შემცველობა. გულის დაავადებების სამკურნალოდ გამოყენებული ზოგიერთი შარდმდენი შარდთან ერთად კალიუმის კარგვას იწვევს, ამიტომ აუცილებელია სისხლში ამ ელემენტის დონის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მისი პრეპარატების მიღება.

## ყოველდღის სასარგებლოა თუ არა კალციუმი

ყველაფერი, რაც კალიუმის შესახებ ითქვა, ნამდვილად არ იძლევა საფუძველს, ეს ელემენტი დაუფიქრებლად და ექიმთან შეუთანხმებლად მივიღოთ. მართალია, კალიუმით მდიდარი დიეტა ყველას არ უქმნის პრობლემებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთი საკვების მიღება დაუშვებელია. მაგალითად, ასეა თირკმელების უკმარისობისა და თირკმლის ზოგიერთი სხვა დაავადების დროს. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როცა პაციენტი იღებს ორგანიზმში კალიუმის შეკავების ეფექტის მქონე მედიკამენტებს. ასეთებია ვეროშპირონი, ტრიამპური, ტრიმეტოპრიმ/სულფამეტოქსაზოლი, აგფ ინჰიბიტორები.

## კალციუმისა და კალიუმის გავლენა თირკმელზე

თირკმლის უამრავიდან ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ორგანიზმიდან აზოტოვანი ცვლის საბოლოო პროდუქტების გამოყოფაა. ამ ფუნქციას თირკმელი განსაკუთრებული წარმონაქმნების - ბაზალური მემბრანისა და სპეციალური უჯრედების - პოდოციტების მეშვეობით ასრულებს. სხვა სტრუქტურებთან ერთად ისინი ფილტრავენ სისხლში არსებულ ნივთიერებებს, აკავებენ ორგანიზმში აუცილებელ კომპონენტებს, ხოლო ტოქსინებსა და სხვა მავნე ნივთიერებებს გამოყოფენ. ამ მნიშვნელოვანი ორგანოს ნორმალური ფუნქციობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორის - გენეტიკაზე, ცხოვრების წესზე, ტოქსინების ზემოქმედებაზე. თირკმლის ფუნქციის შესანარჩუნებლად სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია განსაზღვრულ მინერალთა მიღება ან, პირიქით, შეზღუდვა. ზოგიერთი კვლევის თანახმად, პოდოციტები ფილტრაციის პროცესს სწორედ კალიუმისა და კალციუმის მონაწილეობით არეგულირებს - ზოგ შემთხვევაში აძლიერებს მას, ზოგჯერ კი ამცირებს.

რატომ უნდა შევამციროთ საკვებში ფოსფორის შემცველობა თირკმელების უკმარისობის დროს

ჯანმრთელი თირკმელი უზრუნველყოფს ორგანიზმში ფოსფორის შემცველობის რეგულირებას, ჭარბი ფოსფორის გამოყოფას. თირკმლის ფუნქციის დაქვეითებისას ვითარდება ჰიპერფოსფატემია - ორგანიზმში ფოსფორის შემცველობა იმატებს. ჭარბი ფოსფორი აქვეითებს კალციუმის დონეს, რაც ძვლებისთვისაა საზიანო. ამის გამო თირკმელების უკმარისობის დროს ფოსფორის მიღება დღეში 800-1000 მილიგრამამდე უნდა შეიზღუდოს. ჯანმრთელი ადამიანების უმრავლესობა, ჩვეულებრივ, ამაზე ორჯერ მეტ ფოსფორს იღებს. ფოსფორს თითქმის ყოველგვარი საკვები შეიცავს, თუმცა ამ ელემენტით განსაკუთრებით მდიდარია ცილოვანი პროდუქტები. სურსათის მწარმოებლები ხშირად სხვადასხვა კონსერვანტსა და არომატიზატორს იყენებენ. ისინი არცთუ იშვიათად შეიცავენ ფოსფორს. ეს უნდა გვახსოვდეს და მზა საკვების შეძენისას ეტიკეტი გულდასმით შევისწავლოთ. თირკმელების უკმარისობის დროს მხოლოდ დიეტით ფოსფორის დაქვეითება ძნელია. ამ შემთხვევაში ექიმი პაციენტს ფოსფორის შემბოჭავ მედიკამენტებს უნიშნავს. ფოსფორით მდიდარია რძე, იოგურტი, ყველი, ნაყინი, ხმელი პარკოსნები, ქატოს შემცველი პური, ვაფლი, ცხიმიანი ხორცი, კაკალი, თხილი, შოკოლადი, კოლა. ცოტა ფოსფორს შეიცავს ნაკლებცხიმიანი ყველი, ხილი, ბრინჯი, მაკარონი, ნედლი პარკოსნები, მჭლე ხორცი, ბატიბუტი, ჟელე, ჯემი, კარამელი.

## თუთიის გავლენა თირკმლის ფუნქციაზე

თუთია ორგანიზმის ზრდა-განვითარებისა და იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციობისთვის აუცილებელი მიკროელემენტია. მისი წყაროა ხამანწკები, ხორცი, პარკოსნები, კაკალი, თხილი, საღი მარცვლეული. თუთიის დეფიციტი ორგანიზმში ანგიოტენზინ 2-ის წარმოქმნას უწყობს ხელს, ეს უკანასკნელი კი თირკმლის სისხლძარღვების სპაზმსა და არტერიული წნევის მატებას განაპირობებს. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ორსულობისას დედის ორგანიზმში თუთიის დეფიციტი ნაყოფის თირკმლის განვითარებისა და მომწიფების დარღვევას იწვევს, მომავალში კი ზრდის არტერიული ჰიპერტენზიისა და თირკმლის ფუნქციის დაქვეითების რისკს.

## სიფრთხილე აუცილებელია

თუთიის შემცველი მედიკამენტური დანამატები რეკომენდებული დოზით მიღებისას, ჩვეულებრივ, უსაფრთხოა, თუმცა არსებობს მონაცემები მათი არასასურველი ეფექტების შესახებ. მაგალითად, 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში 100 მილიგრამზე მეტი თუთიის ყოველდღიური მიღება აორმაგებს პროსტატის სიმსივნის რისკს. თუთიის დანამატების უმრავლესობა შეიცავს კადმიუმსაც, რომლის დიდმა დოზამ შესაძლოა თირკმლის დაზიანება გამოიწვიოს.

---

**გახსენება**

## ქეთინო ბეროშვილი

უკვე მესამედ მოვიდა 7 ნოემბერი, შენი დაბადების დღე უშენოდ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო. ქეთინო, გილოცავთ 58 წლისთავს მარადიულ სასუფეველში. როდესაც გიხსენებთ, მეჩვენება, რომ ჩვენთან ერთად ხარ და ყველაფერი გესმის. რამდენჯერ გულდაწყვეტილს გითქვამს, „მე არავის ვუყვარვარ, მე კი ყველა მიყვარსო“. ვერ ვფიქრობ ამის საფუძველს რა გაძლევდა, მაგრამ ჩვენ ისევ ისე გვიყვარხარ და გვენატრები. გულდასაწყვეტია, ასე ადრე რომ წახვედი ჩვენგან.

7 ნოემბერს მოვალთ შენს საფლავზე, რომელსაც ასე ლამაზად უვლის შენი მეუღლე დათო. მოგიტანთ ჩემი ეზოს ლამაზ ყვავილებს, სანთლებს დაგინთებთ და წარსულის მოგონებებში ჩავიძირებით. შენ ისეთი კეთილი და მზრუნველი იყავი ყველასთან, ეჭვიც არ არსებობს, რომ ნათელში ხარ და სანთელ-საკმეველი გზას გინათებს.

თამარ ამირანაშვილი.

**გამოსათხოვარი**

## ზურაბ გომელაური

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ჩვენი ორგანიზაციის რიგებს გამოაკლდა ერთი ძალიან კარგი ადამიანი, თავისი საქმის პროფესიანალი, მაღალი პასუხისმგებლობის და ღირსების მქონე პიროვნება, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე. ის იყო ოჯახისთვის მზრუნველი თავკაცი, საიმედო მეგობარი და მეზობელი და თავისი საქმის ერთგული შემსრულებელი. მისმა გარდაცვალებამ ძალიან დაგვწყვიტა გული. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენი კოლექტივის ხსოვნაში. **გამოვთქვამთ გულისტკივილს და ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ მის ოჯახს ზურაბ გომელაურის გარდაცვალების გამო.**

შპს „მექანიზატორის“ თანამშრომლები.

---

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 2014 წლის კურსდამთავრებულები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ლალი აბაშიძე თანაგრძნობას უცხადებენ თენგო გომელაურს მამის

ზურაბ გომელაურის

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ შანშიაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს თენგიზ გომელაურს შვილის

ზურაბ გომელაურის

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს დეიდაშვილის

ლილი გელაშვილ-ჯალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი იუწყება ყოფილი კოლეგის

ელისო მარტიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

უახლოესი ნათესავები: კლარა ოზაშვილი, გუგული, ალეკო, ლალი ალადაშვილები, რუსუდან ბალხამიშვილი, ნიკა თულაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ზურაბ გომელაურის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნინო პოპიაშვილს მამის

გივი პოპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ილია მარტყოფლიშვილი ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 2000-01 სასწავლო წლის კურსდამთავრებულების და კლასის ხელმძღვანელის ლალი ინაშვილის სახელით იუწყება მასწავლებლის

ელისო მარტიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ თაკო ხარაშვილს დედამთილის

ელისო მარტიაშვილ-დავითაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვასილ ჩოვუშიანის ვაჟის

სიფანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მეუღლე ეთერ გურაშვილი-პოპიაშვილისა, შვილები: გოჩა, ნინო, შვილიშვილები: ეთო, მარიამი, ვახტანგი, გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი პოპიაშვილი

დაკრძალვა 8 ნოემბერს, 13 საათზე ქ. დედოფლისწყაროში.

---

გოდერძი აბულაშვილი, ეთერ ფიცხელაური, გია, ირმა, გიგა და გოდერძი აბულაშვილები მწუხარებას გამოთქვამენ საუკეთესო პიროვნების, პედაგოგის

ელისო მარტიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს გოგი დავითაშვილს, შვილებსა და შვილიშვილებს: ზურაბ, ზაზა, თამარ, გიგი და ანუკი დავითაშვილებს.

# ილჰამ ალიევი – საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობა მაგალითი უნდა იყოს ბევრი ქვეყნისთვის მსოფლიოში

საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არის ის პრინციპები, რომლითაც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები უნდა დარეგულირდეს, - ამის შესახებ დღეს საქართველოს საპატრიარქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა პატრიარქთან სტუმრობისას განაცხადა.

შეხვედრაზე თავის საპასუხო სიტყვაში ილჰამ ალიევმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისათვის და აღნიშნა, რომ მოხარულია, რომ კიდევ ერთხელ ჰქონდა საშუალება პატრიარქთან შეხვედრის. ილჰამ ალიევმა საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოში წამოსვლამდე იგი იხსენებდა ბაქოში უწმინდესთან შეხვედრებს, მათ საუბრებს და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში ძალიან პატივს სცემენ უწმინდესს და იგი უყვართ.

“თქვენ მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნება ხართ, თქვენი მოღვაწეობა ყოველთვის იყო და არის მიმართული ჩვენს რეგიონში იყოს მშვიდობა, რომ ყველა ჩვენი კონფლიქტი იყოს გადაჭრილი და რელიგიათა შორის ურთიერთობები მსოფლიოში დამყარებული იყოს ურთიერთგაგებაზე, ურთიერთპატივისცემასა და მშვიდობაზე. მინდა ვისარგებლო და გადმოგცეთ აზერბაიჯანელი ხალხის ღრმა პატივისცემა თქვენდამი. რელიგიათა შორის დიალოგი, რომელიც ჩვენ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, ჩვენი ქვეყნების ინიციატივით გლობალური მასშტაბით, როგორც არასდროს დღევანდელ დროში აუცილებელია. საქართველოსა და აზერბაიჯანის მაგალითი, როგორც მრავალი კოფენსიური და მრავალეროვანი ქვეყნებისა, მე ვფიქრობ, მთელ კაცობრიობას აჩვენებს, რომ თანამედროვე სამყაროში ერთ სახელმწიფოში ყველა რელიგიის წარმომადგენელი ცხოვრობდნენ ურთიერთგაგებით, ურთიერთპატივისცემით, ერთმანეთს ავსდებდნენ, ერთდროულად მიჯაჭვული იყვნენ თავიანთ კულტურასა და რელიგიის ფესვებზე, წვლილი შეჰქონდეთ საკაცობრიო ფასეულობის გამყარებაში. ვფიქრობ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის როლი როგორც მრავალეროვანი და მრავალკონფენსიური ქვეყნებისა, სადაც მულტიკულტურალიზმა თავიანთი გამოხატულება ცხოვრებაში რეალურად პოვა, მაგალითი უნდა იყოს ბევრი ქვეყნებისათვის მსოფლიოში”, - აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

საუბრისას მან დასძინა, რომ დღეს დილით საქართველოს პრეზიდენტთან ერთად იმყოფებოდა მარნეულში, სადაც აზერბაიჯანული ეროვნების წარმომადგენლებს შეხვდა. ალიევმა აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ძალიან თბილი იყო.

“ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ აზერბაიჯანელები საქართველოში თავს სახლში გრძნობდნენ, ისე როგორც ეს ახლა ხდება. ასევე მე აზერბაიჯანში ხშირად ვიმყოფები იმ რეგიონებში, სადაც ქართული მოსახლეობაა. ისინი ჩვენი ძმები არიან, ჩვენ საერთო ისტორია და საერთო მომავალი გვაქვს. აქტიურია ქართველების მოღვაწეობა ეკონომიკურ, სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი მხრიდან ყოველმხრივ ხელშეწყობილია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ისინი კარგად ცხოვრობდნენ. ბევრი თემებია, სადაც ორ ქვეყანას მჭიდრო ურთიერთობა გააჩნია, ესენი ქვეყნებს შორის ურთიერთობის საფუძველია; ურთიერთპატივისცემა, საუკუნეების განმავლობაში ორი ქვეყანას შორის ძმობა ამის დემონსტრირებაა”, - აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

მისივე თქმით, ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ილჰამ ალიევმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობები, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ასევე დასძინა, რომ გუშინ ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელშიც ასახულია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სფეროები, კერძოდ პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობები, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კულტურის და ჰუმანიტალურ სფეროებში თანამშრომლობა.

“ამ დეკლარაციაში განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კონფლიქტები ჩვენი ქვეყნების ტერიტორიაზე უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების საფუძველზე ტერიტორიული სუვერენიტეტისა და ჩვენი ქვეყნების საზღვრების ხელშეუხებლობის ფარგლებში. მხოლოდ ამ გზით შესაძლებელი იქნება ჩვენს რეგიონში შენარჩუნებული იყოს მშვიდობა და ყოველმხრივ თანამშრომლობა. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა არის ის პრინციპი, რომლითაც უნდა დარეგულირდეს ყველა კონფლიქტები, რომლებიც ხელს გვიშლიან აქტიურად განვითარდეთ. ჩვენ ქვეყნებს შორის საერთაშორისო სტრუქტურებში აქტიური ურთიერთ მოქმედებებია, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთმანეთს და ხმას ვაძლევთ ერთმანეთს”, - აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ასევე შეეხო კომპანია “სოკარის” მოღვაწეობას საქართველოში და აღნიშნა, რომ როდესაც ეს კომპანია აზერბაიჯანში იწყებდა მოღვაწეობას, ალიევმა აღნიშნა, რომ ეს იქნებოდა ქართული კომპანია. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ეს კომპანია ასეც მოქმედებს. მისივე თქმით, კომპანია “სოკარი” ქმნის სამუშაო ადგილებს, ინვესტიციას ახდებს. მისივე განცხადებით, შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორი და გადასახადების გადამხდელია საქართველოში.

ალიევი შეეხო ასევე საქართველოში ყველა რელიგიური გაერთიანების დაწესებულებებისათვის უფასოდ გაზის მიწოდების საკითხსაც, რისთვისაც საპატრიარქოში შეხვედრაზე პატრიარქმა ალიევს მადლობა პირადად გადაუხადა. ალიევმა ამ საკითხზე აღნიშნა, რომ “სოკარის” მეშვეობით აზერბაიჯანი საქართველოში ყველაზე სუფთა განზრახვით მოქმედებს.

“ჩვენი განზრახვა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს რეგიონში იყოს მშვიდობა, თანამშრომლობა, ურთიერთგაგება, ურთიერთმხარდაჭერა. დღეს როგორც არასდროს ეს აუცილებელია, რადგან ჩვენს ქვეყნებში კონფლიქტის კერებია და ჩვენი ქვეყნების გარეთაც არსებობენ ახალი რისკები, რომლებიც ჩვენგან სწორ პოლიტიკურ მოქმედებებს ითხოვენ. საქართველო და აზერბაიჯანი ისტორიულად ერთად ვითარდებოდა და დღეს ჩვენი წარმატებული მომავალი შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო ურთიერთობებით. მე მოხარული ვარ, რომ ამ პოზიციას იზიარებს აზერბაიჯანის და საქართველოს ხელმძღვანელები. დარწმუნებული ვარ, რომ ვიზიტის შემდეგ ახალი გეგმები, რომელიც დავსახეთ, მათი რეალიზება მოხდება. ამით ჩვენი პარტნიორობა, თანამშრომლობა და ძმობა უფრო გაძლიერდება. კიდევ ერთხელ გამოვხატავ თქვენს მიმართ ღრმა პატივისცემას და მადლობას მოგახსენებთ ამ შეხვედრისათვის”, - განაცხადა ილჰამ ალიევმა.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა პატრიარქს საჩუქრად რამდენიმე მეტრის სიგრძის ხალიჩა გადასცა.

## ულოცავენ!

### ნინო ტოკლიკიშვილს!

ჩვენო ფერია, ჩვენო გულის მალამო და გახარებავ, გვინდა საჯაროდ მოგილოცოთ ორი წლისთავი. ბედნიერ ბავშვობას, ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და წინ ულამაზესი ცხოვრების წლებს გისურვებთ. უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს შენს მშვენიერ სიცოცხლეს.

**მშობლები:** გოგიტა და მარიანა ტოკლიკიშვილები ოჯახით. **ბებიები:** ციცინო ტოკლიკიშვილი, ლეილა სულხანიშვილი, **ბიძები:** სოსო და ლევან თარალოშვილები ოჯახით.

### გულანშარ იაკობიშვილს!

ძვირფასო კოლეგა, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. 80 წელი ცოტა არ არის, მაგრამ წლები თქვენ ვერაფერს გაკლებთ. თქვენი სიმხნევით, პროფესიონალიზით და პასუხისმგებლობით მისაბაძი მაგალითი ხართ. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენს ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ჩვენთან, თქვენს თანამშრომლებთან ერთად.

**პატივისცემით,**
ქ.დედოფლისწყაროს, №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

## ამირან ბილიაშვილის ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში

ვეტერანი მოყვარული მოჭადრაკის, ამირან ბილიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დარბაზში. მოზარდებს შორის პირველი ადგილზეა გიორგი ვარდიშვილი, მეორეზე- ნინო კიკილაშვილი, მესამეზე-ნიკა ყაჭაშვილი. უფროსებში

პირველი ადგილი დაიკავა პეტრე მამულაშვილმა, მეორე-ვალიკო ნატროშვილმა. 9 წლამდე ასაკის ბავშვებში პირველი ადგილის მფლობელია გიორგი მოსულიშვილი (ს. ზ|მაჩხაანი), მეორე ადგილი დაიკავა რატი ნატროშვილმა. გამარჯვებულებს მედლები და სამახსოვრო პრიზები გადაეცათ.

## ამინდი

### დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 09.11 | სამშაბათი 10.11 | ოთხშაბათი 11.11 | ხუთშაბათი 12.11 | პარასკევი 13.11 | შაბათი 14.11 | კვირა 15.11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | 6° | 6° | 6° | 7° | 4° | 4° | 6° |
| ღამე | 5° | 4° | 5° | 3° | 1° | 2° | 5° |


გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.